საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა [illegible] პარტია

№ 248 შაბათი, 25 მაისი 1918 წ. № 240

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

საქ. ეროვ. საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანია ბათუმიდან ჩამოვიდა.—გუშინ მან მოხსენება წაიკითხა ეროვნულ [illegible] აღმასრულებელ კომიტეტში.—გერმანიის მრეწველებმა შრომის მინისტრი ინახულეს; მინისტრს სთხოვეს დახმარება აღმოგვიჩინე ფოთსა და ჭიათურაში მუშაობის ძოწყობაშიო; გერმანელი მრეწველები თანახმა არიან კოლექტიური ხელშეკრულება დასდვან მუშებთან—კავკავისაკენ ავტომობილებს ნებადაურთველად არ უშვებენ

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მან., 20×2 ღირს 15 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ქ. [illegible] „[illegible]") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მეორე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის აღრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

ხარიტონ ნიკოლოზის ძე სხირტლაძე შვილებით და ალექსანდრე გრიგოლის ძე ზაქაიძე მეუღლითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველთა შვილის და დისა და მეორეთა ცოლის დისა და დის

მელანია (მელანო) ხარებას ასულის სხირტლაძის

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება შაბათს მაისის 25-სა, წმ. ნინოს სასაფლაოზე; პანაშვიდი და ცხედრის გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოსთან არსებულ საყდრიდან დილის 11 საათზე. 540

26 მაისს ქ. ხონში სასაფლაოს ეკლესიაზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ანა პეტრე სანაძის ასულის,

რასაც ვაცნობებთ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებულის დები: ეკატერინე პეტრეს ასული ვარდოსანიძისა, ლიუბა და მარიამ პეტრეს ასულნი სანაძეები. 537

კვირას 26 მაისს გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

მარიამ ილ. მუსხელიშვილის ასული
კნ. თუმანოვის

სულის მოსახსენებლად კუკიის სასაფლაოს ეკლესიაში, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე დიმიტრი გრიგოლის ძე კნ. თუმანოვი, დედა ტერეზია იოსების ასული და ძმები როსტომ, გიორგი და იოსებ მუსხელიშვილები. წირვის დასაწ. დილ. 10 ს. 541 2

კვირას, 26 მაისს (ახალი დროით) დილის 11 საათზე ქართულ კლუბის საზაფხულო შენობაში დანიშნულია

საზოგადო დამფუძნებელი კრება

ტფილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირისა

განსახილველი საგნები:

1. მოხსენება საორგანიზაციო კომიტეტის მოქმედების შესახებ.
2. ხარჯთ-აღრიცხვა კავშირის 1918 წლისა.
3. ამორჩევა საბჭოს წევრებისა და მათ კანდიდატებისა.
4. ამორჩევა გამგეობის წევრებისა.
5. ამორჩევა სარევიზიო კომისიის წევრების და მათ კანდიდატებისა.

საორგანიზაციო კომიტეტი სთხოვს კავშირის ყველა წევრებს უთუოდ დაესწრონ ამ კრებას, რადგან როგორც პოლიტიკური ისე საზოგადოებრივი მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა მოითხოვს ვაჭარ-მრეწველთა შეკავშირებას და მათ საზოგადო სარბიელზე გამოსვლას.

519

საორგანიზაციო კომისია.

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან

ამხანაგობის წევრთ, ვისაც ერთ პაიზე მეტი აქვს, ზედმეტი პაები შეუძლიანთ წარმოადგინონ მდგომარე წლის პირველ ივნისის შემდეგ და მიიღონ ხვედრი 50 მ. და ზედმეტი 250 მ. ხოლო თითო პაის პატრონებმა თავთავიანთი პაები უნდა წარმოადგინონ და მიიღებენ ძველი პაების მაგიერათ ახლებს 300 მ. ღირებულს. პაები უნდა წარმოადგინონ თვით პატრონებმა ანუ გარეშე პირებმა ხოლო შესაფერი შემოწმებული რწმუნების წერილით. გარდაცვლილთ პატრონების მემკვიდრეებმა უნდა წარმოადგინონ შესაფერი მოწმობა მემკვიდრეობისა. შემდეგ პაების გამოცვლისა დანიშნული იქმნება ვალებისაგან და ადმინისტრაციისგან განთავისუფლებულ ამხანაგობის საზოგადო კრება.

მისამართი: ტფილისის სამეურნეო ბანკი (სასახლის ქუჩა), ბ. სოფრომ ტარუაშვილს.

632

ადმინისტრაციის თავმჯდომარე ალ. ჯაბადარი.

ქართული კლუბი

შაბათს, 25 მაისს 1918 წ. მესამედ საზოგადოების თხოვნით წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ახალი ორიგინალური ოპერა რევაზ გოგნიაშვილისა

ქრისტინე

4 მოქმ. და 5 სურათად.

დირიჟორი ნიკო ქართველი.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში. 1176

კოოპერატივების საყურადღებოდ დამზადებულია დიდძალი
ჩეკები

მისამართი ბარონის ქუჩა № 14.

1174 სტამბა „სახალხო საქმე".

დიდი ცირკი
ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., [illegible] ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—00.

დღეს, 25 მაისს გაიმართება წარმოდგენა

„ჩვენი მეშაბათეები"

მონაწილეობენ ქ-ნი ესმერალდა, პეტერსონი, იამოდასანი, ვ. ელიზაროვი, კომო, ვლადიმიროვი, კლერმონტი და სხვები.

ანონსი: ხვალ კვირას 26 მაისს გაიმართება 2 დიდი წარმოდგენა დღისით ბავშვებისთვის დაკლებულ ფასებში.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. ს., დასასრული 11 ს. 538

მიხეილის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ
აცხადებს.

რომ ივნისის დაწყებისას ქვემორე მოხსენებულ რიცხვებში ახალი სტილით შუადღის 12 საათიდან, ბანკში ხვედრი გადასახადის შემოუტანლობის გამო მოხდება საჯარო ვაჭრობა განმეორებლად იმ უძრავი ქონებებისა შენობებით, რომელთა პატრონებმა დანიშნულ ვადაზედ ხვედრი ფული ბანკის კასაში არ შემოიტანეს. საჯარო ვაჭრობა მოხდება: ქ. ტფილისში, ტფილისის გუბერნიაში და ქ. ყარსში მდებარე ადგილებისა—ბანკის განყოფილებაში ქ. ტფილისში, ფრეილინის ქუჩაზე 1 ნომერ სახლში და ყოველივე დანარჩენი მამულებისა კი ბანკის საკუთარ შენობაში ქ. ქუთაისის ტფილისის ქუჩაზე (ის მსესხებელი, რომელიც მოისურვებს მისი მამულის საჯარო ვაჭრობისაგან განთავისუფლებას ვალდებულია შემოიტანოს პირველი ვაჭრობის დაწყებამდე ბანკის დარჩენილი გადასახადი და პროცენტები (პენია) ვადაზე შემოუტანლობისა გამო და სხვა ხარჯები, რომელიც გამოიწვია დავალიანებული მამულის გაწერამ, ხოლო თუ პირველი ვაჭრობა არ მოხდა, ყოველივე ეს სავალდებულო იქნება მსესხებლისათვის მეორე საჯარო ვაჭრობის დაწყებამდის).

დაწვრილებითი აღწერა საჯარო ვაჭრობის პირობებისა და თვით გადასახადი მამულებისა ბანკის გამგეობის მიერ გამოცხადებულია გაზეთ „კავკაზ"-ში პირველ ამა მაისის 88 ნომერში და ყოველივე ცნობები მსურველთ შეუძლია მიიღოს ბანკის კანცელარიაში ქ. ქუთაისს და ბანკის განყოფილებაში ქ. ტფილისს.

საჯარო ვაჭრობა მოხდება:

1. იმ უძრავ ქონებათა, რომელიც ქ. ტფილისში, ტფილისის გუბერნიაში და ქ. ყარსშია 17 ივნისს პირველი საჯარო ვაჭრობა (ახალი სტილით), 2 ივლისს მეორე საჯარო ვაჭრობა (ახალი სტილით).
2. ქ. ქუთაისში 21 ივნისს პირველი საჯარო ვაჭრობა (ახალი სტილით), 8 ივლისს მეორე საჯარო ვაჭრობა (ახალი სტილით).
3. რომელიც სხვა და სხვა ქალაქებში და დაბებშია ქუთაისის გუბერნიისა, ბათუმის და სოხუმის ოლქებისა 25 ივნისს პირველი საჯარო ვაჭრობა (ახალი სტილით), 11 ივლისს მეორე საჯარო ვაჭრობა (ახალი სტილით).
4. იმ მამულებისა, რომელზე გაცემულია მოკლე ვადიანი სესხი 28 ივნისს პირველი საჯარო ვაჭრობა ახალი სტილით, 13 ივლისს მეორე საჯარო ვაჭრობა (ახალი სტილით).

1172

ტფილისი. 25 მაისი 1918 წ.

ოსმალეთი შემოგვესია. **ოსმალეთის** სხვანაირად არ შეეძლება **შემოსევა.** დახასიათდეს ის, რაც დღეს ჩვენს გარშემო ხდება: მიუხედავად იმისა, რომ საზავო მოლაპარაკება სწარმოებს, მიუხედავად იმისა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება საფუძვლად უნდა დასდებოდა მომავალ ხელ-შეკრულებას, ოსმალოები გერმანიასთან ერთად ერთის მხრით, თანახმად ბრესტის ხელ-შეკრულობისა, რუსეთის დაუთანხმებლად, ჩვენს დამოუკიდებლობას არა სცნობენ, მეორეს მხრით კი ჩვენს ტერიტორიაში იჭრებიან და იარაღით ჰსურთ გადასწყვიტონ საკითხი. აქ ჩვენ გვაქვს საქმე უზომოდ გაღვიძებულ იმპერიალისტურ მადასთან. ჩვენი სურვილი კეთილ-მეზობლური ურთიერთობის დამყარებისა მეომარ სახელმწიფოებთან ოსმალეთმა ისე გაიგო, თითქოს ჩვენ ადვილად დავსთმობთ ჩვენს თავისუფლებას და საქართველოს მის სათარეშო მოედნად გავხდით. ოსმალეთის თავხედობას საზღვარი არა აქვს. იგი დიპლომატიური ზრდილობის დეკორუმსაც კი არ იცავს და ისე გველაპარაკება, როგორც თავის ქვეშევრდომებს, ან, უკეთეს შემთხვევაში, როგორც ისეთს ხალხს, რომელიც დღეს არა ხვალ მისი ქვეშევრდომი გახდება.

დასამტკიცებლად იმისა, რომ ჩვენ მშვიდობიანად გვინდა გავათავოთ საქმე განვაგრძობთ მოლაპარაკებას, მაგრამ დასამტკიცებლად იმისა, რომ ქართველი ხალხი არც ერთს არშინს თავის მიწა-წყლისას უბრძოლველად ოსმალეთს არ დაუთმობს, ჩვენ მოვუწოდებთ მთელს ხალხს იარაღს ქვეშ დადგეს და შეებრძოლოს ოსმალეთს, რომელსაც საქართველო ადვილად მოსანელებელი ლუკმა ჰგონია.

მართალია, საერთო დეზორგანიზაციამ, შესამჩნევად შეასუსტა სამხედრო ძლიერება ჩვენი ჯარისა, რაც ჩვენზე კარგად, ალბად, თვით ოსმალეთმა იცის. მაგრამ ოსმალეთმა შეიძლება ერთი რამ არ იცის, სახელდობრ ის, რომ ქართველი ხალხი უბრძოლველად თავის სამშობლოს არ გასწირავს. არ ვიცით, რამდენად ხელსაყრელი და სასურველია ოსმალეთის ხანგრძლივი ფრონტის გაჩენა ამიერ-კავკასიაში მაშინ, როდესაც საქმე მშვიდობიანად შეიძლებოდა გათავებულიყო, მაგრამ ჩვენთვის, საქართველოსთვის, პოლიტიკურ მონობას სიკვდილი სჯობიან.

ეხლა სიტყვა ქართველ ხალხს ეკუთვნის. ოსმალეთი შემოგვესია და შემომსევს პასუხი უნდა გასცეს ხალხმა.

დაღუპული იმედები

რევოლუცია თავისუფლების დროშაა: მან მონობა მოგვიტანა. ომმა წარმოშვა რევოლუცია და იმავ ომმა მოჰკლა იგი. ასეც უნდა ყოფილიყო. რევოლუციის პირველ დღეებში ოხუნჯობდნენ, თავისუფლება პეტერბურგიდან ფოსტით მივიღეთო. ეს [illegible] მართალიც იყო. მაგრამ სწორედ იმიტომ დამარცხდა რევოლუცია, რომ იგი ფოსტით იყო მოსული და არა ამოტივტივებული ხალხის გულის სიღრმიდან, როგორც განცდილი მოვლენა.

რევოლუცია [illegible] პატრიოტული და ხალხოსნური მოვლენაა. რევოლუციას ასაზრდოებს არა იმდენად განყენებული აზრი, რამდენადაც მისწრაფება საუკეთესო ცხოვრებისადმი, გრძნობა უკეთესისა. რევოლუციის მამოძრავებელი ძარღვი—პოლიტიკურ ზრახვათა სისპეტაკეა. რევოლუცია მაშინ ემხობა, როდესაც იგი შაბლონად, ტრაფარეტად იქცევა, როდესაც მას იდეოლოგიური სისპეტაკე ეკარგება და ხელოსნობად იქცევა. რობესპიერი რევოლუციის ხელოსანი იყო და სწორედ მისმა სარევოლუციო მოღვაწეობამ, ტრაფარეტად გადაქცეულმა სისტემამ დაშრიტა და დასწურა ის სარევოლუციო ენტუზიაზმი, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის პირველი დღეების დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა. მხოლოდ რევოლუციის ასეთი დაქნინების შემდეგ შეიძლებოდა დაბადებულიყო ისეთი სულიერი რეაქცია, რომელმაც გზა გაუკაფა ნაპოლეონის ტრიუმფატორულ მსვლელობას.

თუ ასე მოხდა საფრანგეთში, სადაც ძლიერი იყო მორალური ელემენტი რევოლუციისა, სამაგიეროდ ამას ვერ ვიტყვით რუსეთის რევოლუციაზე, რომელსაც თავიდანვე აკლდა ეს მორალი. საუკეთესო მატარებელი რუსეთის სარევოლუციო იდეებისა ინტელიგენცია იყო. ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილმა სისხლითა და ცრემლით, ტანჯვითა და თავგანწირულობით ატარა და ალოლიავა იდეა რევოლუციისა, იდეა ხალხის განთავისუფლებისა პოლიტიკური მონობისაგან.

მაგრამ რევოლუცია მაინც მას არ მოუხდენია. რევოლუციამ რუსეთში იფეთქა, როგორც პროტესტმა ომის წინააღმდეგ. დაღლილობამ, დაქანცულობამ, სრულმა უილაჯობამ სტიქიური პროტესტის სახით იჩინა თავი და ამ სტიქიამ, რომელსაც არავითარი მორალური სარევოლუციო საფუძველი არა ჰქონდა, გადალახა და გასრისა არამც თუ ძველი წესწყობილება, არამედ ყველაფერი ისიც კი, რასაც წლობის განმავლობაში შესტრფოდა და შეჰხაროდა პოლიტიკური აზრი.

სწორედ ამიტომ საშინელი უფსკრული გაითხარა ხალხსა და ინტელიგენციის შორის. პოლიტიკური ზრახვანი, პოლიტიკური იდეალები რუსეთის ინტელიგენციისა სრულიად გაუგებარი დარჩა ხალხისთვის და ამ უკანასკნელმაც იმას დაუჭირა მხარი, რომელიც სწორედ სარევოლუციო მორალის ოპეკასა და კლანჭებისაგან „ანთავისუფლებდა" მას. ამნაირად განთავისუფლებული ხალხი გადაიქცა იმ მრღვეველ ძალად, რომლის წინაშეც მორჩილებით ქედი მოიხარა არა მარტო პოლიტიკურმა მორალმა, არამედ გონიერებამ და საღმა აზროვნებამაც.

დაუძლურებისა და ნების ყოფის დაავადმყოფების, დასნეულების ნიადაგზე აღმოცენებულმა რუსეთის რევოლუციამ, რა თქმა უნდა, „არ მიიღო" ომი მაშინ, როდესაც სწორედ რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესი და სწორედ გაგებული სარევოლუციო ინტერესი მოითხოვდა ბრძოლის გაგრძელებას. რევოლუციამ ომი ვერ აწარმოვა იმიტომ, რომ იგი დაიბადა, როგორც პროტესტი ომის წინააღმდეგ.

ამან აუცილებლად თავისი ლოღიკური შედეგი უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც. დაუძლურებულსა და დასუსტებულს რუსეთში არამც თუ დაიმსხვრა სარევოლუციო იდეალები, დაიმსხვრა თვით სახელმწიფოც.

საქართველო იმავე სენითაა დასნეულებული და ამიტომ შედეგიც ანალოგიური უნდა მოჰყოლოდა. [illegible] ისევე, როგორც რუსეთში, [illegible] ცია, მით უფრო [illegible] რევოლუცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც პეტროგრადიდან „ფოსტით" მოვიდა, მოკლებული აღმოჩნდა მორალურ საძირკველს. ჩვენი საერთო იმედების გაცრუებას ზედ დაერთო ეროვნული იდეალების გაცრუებაც. თუ რუსის ხალხისთვის საერთო სარევოლიუციო ლოზუნგები თვით რევოლიუციის პროცესშიაც კი სრულიად გაუგებარი დარჩა, ჩვენი იდეა საქართველოს განთავისუფლებისა ვიწრო პოლიტიკურ წრეთა გულის ზრახვებზე შორს არ წასულა. ჩვენში დამოუკიდებლობა, როგორც ფორმა სახელმწიფოებრივი არსებობისა, იშვა იმ ინტერესთა შეჯიბრება-შეხლაში, რომელიც ჩვენი საზღვრებისა და პოლიტიკური ინტერესების გარედ სწარმოებდა სწარმოებს.

იდეა საქართველოს თავისუფლებისა, დამოუკიდებლობისა საერთაშორისო მწვავე შეჯიბრების დროს გაჩნდა და განხორციელდება თუ არა, ეს ჩვენზე აღარ არის დამოკიდებული. მას შემდეგ რაც ჩვენ დავკარგეთ უნარი თავის დაცვისა, გამოვეთხოვეთ კიდეც იმ ძალას, რომელსაც ჯერ კიდევ შეეძლო ერთგვარი ფასი მიეცა ჩვენი სურვილებისთვის. მაგრამ არ შეიძლება ძალა გაჩნდეს იქ, სადაც არ არის მასაზრდოებელი ძალისა—მორალური ფაქტორი.

რუსეთის რევოლიუცია დამარცხდა იმიტომ, რომ იგი პოლიტიკური მორალის საფუძველებზე არ არ იყო აშენებული, საქართველოს დამოუკიდებლობაც დაიღუპება სწორედ ამავე მიზეზით. ადამიანი დიდი პირუტყვია. იგი უსაშინელეს მომენტებშიაც კი სანუგეშოს იპოვის, მაგრამ არაფერი სანუგეშო არ მოაქვს მომავალს იმ ერისთვის, რომელიც მოკლებულია მორალურს საფუძველს პოლიტიკური არსებობისას.

ჩვენ დამოუკიდებლობას იმიტომ კი ვერ განვახორციელებთ, შემოსატან-გასატანი საქონელი არა გვაქვს, როგორც ეს ზოგიერთს გულუბრყვილოდ ჰგონია, არამედ იმიტომ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ხალხის მასისთვის გაუგებარია სწორედ ისევე, როგორც რუსეთის ხახლხისთვის საუკეთესო იდეალები რევოლიუციისა.

არ. ჯაჯანაშვილი

გაკოტრებული პატრიოტები

ცუდს, საცოდავ სურათს წარმოადგენს დღევანდელი ტფილისი. აფორიაქებული, უმიზნო, უშინაარსო უსულგულო ადამიანების ხელში ეს დიდი წალკოტი მშვენიერ ბუნებისა ხალხის ცრემლის გუბედ არის გადაქცეული.

ტფილისის შინაარსი ყოველთვის ხალხი იყო და ეს ხალხი აღარ წარმოადგენს მოქალაქეთა მასსას, რომლის ძალებს სახელმწიფოებრივ ნებისყოფის ქსელი აერთებდეს.

გაჰქრა. უსალტო ხალხი ბრბოდ გადაქცეულა და ბრბოსავით მირბის ჩრდილოეთის მიმართულებით.

მთავრობა ქადაგებს შინ დარჩენას, მშვიდობას, ხალხს კი გუდა-ნაბადი აუკიდია, ოხრად სტოვებს საუკუნოებით მონაგარ სიმდიდრეს და გარბის... გარბის მოხუცი, ახალგაზრდა, ვაჟი, ქალი, ყველა.

ასეთია დღეს ტფილისი.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან მარტო ამ სურათს უცქიროთ და ერთხელაც არ ვიკითხოთ ამ მოვლენის ძირითადი მიზეზი. შეუძლებელია აქ გაბრიელ ტარდის ფილოსოფიური ან სოციოლოგიური შემეცნებით დავკმაყოფილდეთ და ბრბოს ფსიხოლოგიაში, მიმბაძველობის ტალღაში დავინახოთ ყოველივე. არა, ჩვენს წინაშე საზოგადოებრივ ჯგუფების და ერების გულის ნადებთა მძაფრი ჭიდილია, ამ გადასახლების წიაღში საოცარი ეროვნული და კლასობრივი ბრძოლაა ჩამარხული, როდესაც ერთი ბრძოლის ასპარეზე გახარებულია გაჩერებული, ხოლო მეორესათვის თავის დახსნა უმიზნო ხეტიალსა და სირბილშია.

და მართლაც, თუ ჩვენ ტფილისის ქუჩების კიდევ მეორე სურათს, უფრო საინტერესოს და საყურადღებოს მოიგონებთ სავსებით დაინახავთ გაქცეულ ხალხის ფსიქიკასაც, მიზანსაც და იმ ძალების ხასიათსაც, რომელნიც წარბებითა და შუბლის ფიცრით ლაპარაკობენ სიხარულს.

— ყველგან, ქუჩის ჯვარედინზე დიდი ბრბოა თავშეყრილი და მსჯელობაა თავის მტვრევით. სკოლისა და თეატრის დამტოვებელი ხალხი, ადამიანები, რომელნიც მიტინგებს აღარ ეკარებიან, პარტიებს ღალატობენ და დემოკრატიის მოუმზადებლობას ლაპარაკობენ - აი [illegible] ჯურის ხალხი იწევა ამ ახალ მოდის კრებებში პოლიტიკურ პედაგოგიკას.

მრავალ ალაგას გამართულ ნადირალთა კრებებს საოცრად მოწყობილი უმავთულო ტელეგრაფი ქონია, სადაც რუხი ფერის ადამიანები, ტანმორჩილები, თმა აბურძგნილი დაძრწიან და ხან ერთ პირს მიუთავაზებენ ჰორიკანა ხალხს, ხან მეორე სიყალბეს მეორე ალაგას შეკრებილებს. და ეს ბრბოები დრტვინავენ... ხან ბათომში ამოყოფენ თავს, ხან გუმბრის და კარაკლისის მხარეს, ხან ნახიმფაშის ქსელში, სასახლეში და ხშირად ერების და კლასების ყოფაქცევაშიაც.

ამ ბრბოსა და ქუჩის პოლიტიკანებს პროვოკატორებს, მაწანწალებს მესამე ჯურის ადამიანები კიდევ უფრო ატრიალებენ. რომანოვისა და კერენსკის ხურდა ფულით. ცალიერ ტომრებით და ეტლებით ეს ბაში-ბუზუკები და ჩარჩები დაძრწიან გონება დაკარგულ მცხოვრებლებში და ოხრის ფასად ყიდულობენ ყველაფერს: ხელოვნების ძვირფას ესკიზს, ნაქარგს, ნაწნავს, სახმარსა და გასასყიდს. დღეს ბაზარზეა გამოტანილი მთელი ერის სიმდიდრე, ბაზარშია გამოფენილი ჩვენი ოჯახის ძალა, კულტურა, ხასიათი, გემოვნება, კულტი, ესე იგი მთელი ჩვენი შინაარსი, არსება.

ასეთ სახელმწიფოს ასეთს სატახტო ქალაქში ხან გამოშვებით ჩაირბენს ხოლმე ბრწყინვალე ტაქსა-მოტორი თანამედროვე მინისტრით დამშვენებული და ცხოვრება კი ისევ ასე ასეულად, აწეწილად, უმიზნოდ და უკვალოდ მიიზლაზნება.

პოლიტიკურ შემოქმედების ძალა რომ იწურებოდეს მწუხარების ცრემლთა ნაკადით მთელის ჩვენის ენერგიით მოვითხოვდით ეროვნულ გლოვისა და ზარის გამართვას ამ შავი, საშინელი, უბედური ჩვენი ცხოვრებისათვის. მაგრამ ამ დაკნინებისათვის ისევ სალი აზროვნება და გაბედული, ღონიერი ნებისყოფის ადამიანის შემოქმედებაა საჭირო.

მართლაც, ჩვენში ძალიან გამრავლდა დაკნინებული ხალხი. უნებო, უაზრო, მაგრამ თვით მოწინავე საზოგადოების ნებისყოფის ხეტიალმა ჩაჰკლა დემოსის ნებისყოფაც. იქ, სადაც ეროვნული მიმართულება ქარის წისქვილსავით ტრიალებს, სადაც პოლიტიკის ცვლა წუთიდან წუთში ხდება, შეუძლებელია მასსას ქონდეს გამორკვეული და საბოლოოდ შემუშავებული აზრი.

ხალხი ხედავს, რომ მას თავზე ახვევენ ყოველგვარ ფორმას წყობილებისას; გუშინ საგიჟებელი დღეს ხდება ქების საგანი, საზიზღარ საქმეს სასახელოდ ვხდით და აშკარაა ასეთ პირობებში მასსაც პარტიებში კი არ წავა პოლიტიკურ ცნობიერობისათვის, არამედ ქუჩაში და ყავახანაში.

უმიზნობა, პოლიტიკურ აზრის დაცემა, სახელმწიფოებრივ დისციპლინის უარყოფა, ეროვნულ პატრიოტიზმის დავიწყება—აი საფუძველი, რომელზედაც დავინგრეით და რაზედაც სავსებით დავინგრევით.

ჩვენს ხალხში გაქრა უმთავრესი ბურჯი ჩვენი არსებობისა—სამშობლო, ერი, პატრიოტიზმი. საქართველოს ირგვლივ და შიგ გულში მრავალი ორგული ჰყავს გაჩენილი, რომელიც პატრიოტიზმს გამცემლობაში ხედავს.

საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც გუბერნატორის კანცელიარიაში აღიზარდა, რომელმაც დაჰკარგა მამული, დაივიწყა ეროვნება და გაფუფუნებულ ხელებით ქრთამების მიღებაში იყო ჩაჩვეული, დღეს კუდ-ამოძუებული მთავრობის სფეროდან—ეს ჯგუფი ქართველობისა დღეს სამაგიეროს გადაუხდის დემოკრატიას და ქართულს პატრიოტიზმს გადაახურდავებს ოსმალურ იმპერიალიზმზე.

მეცხრამეტე საუკუნეში რუსობამ ქართული პატრიოტიზმი მოსპო ჩინების და ადგილების დარიგებით, დღეს ოსმალეთი გაჰყვება ამ გზას, გაამრავლებს ქართველ ბეგებს, ქართველ ფაშებს და ამ გზით დაასრულებს ქართულ პატრიოტიზმის მოსპობას.

ჩვენში არსებობს მხოლოდ ერთი გულწრფელი პატრიოტიზმი—ეს მუშა ხალხის პატრიოტიზმია, რომელიც აგებდა რუსეთთანაც და წააგებს ოსმალეთთანაც; ეს დემოკრატია ცხოვრობდა თავის ხელით მუდამ, იცოცხლებს თავისივე საშუალებით, მაგრამ მის კერას ქართველობის გაკოტრებული პატრიოტები ანგრევენ და მართლაც ჰყიდიან ყოველ შემთხვევაში.

საქართველოს სამარეს თვით ქართველობის გონება დაკარგული ორგული პატრიოტები ქმნიან, დღემდე სხვისი შრომით და მოხელეობით რომ სულდგმულობდა თვითმპყრობელობის სუფრასთან.

მაგრამ თქვენ გგონიათ მარტო ქართველ ერშია ორგული პატრიოტები? კიდევ მეტი სიმძიმე აწევა საქართველოს იმ ჩარჩებისა, პროვოკატორებისა და ნადირალების ხროვა, რომელნიც სულ გუშინ გვიუბნებოდნენ: ტფილისი საერთაშორისო ოჯახია, იგი ჩვენი სამშობლოც არისო.

სომხის ხალხს, გუდანაბადი რომ აუკიდია და გარბის უცხოეთში, რუსობას, რომელიც რაზმებით მიდის კავკავის გზით, ჩვენ ვეკითხებით: რად სტოვებენ ტფილისს, როცა მისი დაცვაა საჭირო ბრძოლითა და სისხლით?

ეს კიდევ ცოტაა: მრავალი ხალხი გადის და თან მიაქვს სურსათი, პური მჭადი და იარაღი. სად არის აქ პატრიოტიზმი, ან ნატამალი პოლიტიკური, ან ეროვნული, სულ უბრალო ადამიანური სინიდისისა?

ტფილისს წიხლები ჰკრეს სომხებმა და რუსებმა.საკმაო გახდა ოსმალოს მუშტის გამოჩენა რომ „საერთაშორისო ქალაქი" ყველას დავიწყებოდა გარდა გვარდიაში და სოციალისტურ დემოკრატიის რაზმში ჩაწერილ დემოკრატებისა.

საჭირო იყო უკანასკნელ წუთს მამულიშვილურ გრძნობის გამხელა, სირცხვილის მოწმენდა და შეიარაღებულ ყმაწვილების გამოყვანა სამშობლო ტფილისის დასაცავად, მაგრამ სალი პატრიოტიზმის ნაცვლად ედდა ქალაქის საბჭოში სომეხი ხუდადოვი და რუსი სემიონოვი საჯაროდ ყვირიან:—გაუმარჯოს რუსეთსო!?

ნუ თუ არ იციან ხუდადოვ-სემიონოვებმა რომ ეს ყიჟინა საშიშია არა მარტო ქართველობისა, თვით სომხისა და რუსის ხალხისთვის? ნუ თუ მათ არ იციან, რომ ეს სიტყვიერი ღალატიც არის საქმიან ღალატთან ერთად.

ჩვენ ყველა გზა დაგვეცალა, დაგვეხურა. დღეს ქართველი დემოკრატია ვერსად ვეღარ გაიხედავს იმედის და შვების მისაღებად. ყველგან ცბიერება, მატყუვრობა, საძაგლობა.

მხოლოდ ჩვენში, ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ აქაც მარტოდ მარტო დემოკრატიაში თუ ამოვკრებთ ჩვენ ძალას საქართველოს დასახსნელად.

ჩვეულებრივ დროს ჩვენი დემოკრატია ღალატობდა პატრიოტიზმს. გაჭირვების დროს ეს დემოკრატია დაადგა გულწრფელ დემოკრატიზმის გზას და ჩვენც დემოკრატიასთან ერთ დემოკრატიის ამ უდიდეს გასაჭირის დროს.

დეე დავმარცხდეთ დემოკრატიასთან, მაგრამ გაიძევრეთ და გაკოტრებულ პატრიოტებთან გამარჯვებას პატიოსანი დამარცხება სჯობიან ერის მარადისობის, სახელის და აღდგენისათვის.

თედო ღლონტი.

ორი სურათი

1.

ბუნების გაზაფხული.

კვლავ გაზაფხულის გიჟმაჟი შვება
მდელოს დაეფრქვა დამსხვრეულ სხივად
და იმის მკერდზე ილამუნება
ცის ცრემლს დამტვრეულს ვერცხლისა მძივად.
კვლავ მდელოს მკერდი ტოკავს და ღელავს,
ზამბახი ტრფობით უღიმის იას...
ტბა მზის სხივებზე ბრჭყვიალებს ელავს,
გულში იხუტებს ცას მშვიდს, გულ-ღიას...
ვარდი ყურს უგდებს ეშხით მთვრალ ბულბულს
და ნორჩ გულს უშლის მას ფიანდაზად,
დილის ნიავი ტყეს ამწვანებულს
კოჩორს უკოცნის და არხევს ნაზად.
გაზაფხულია, გაზაფხულია,
მწვანეა მდელო, მწვანეა მთები,
აქ ზეიმია, სიხარულია,
აქ სიცოცხლეა შვების ღმერთები.
და ვხარობ, ვხარობ ამ გაზაფხულით,
ბუნების ზეიმს მეც ვეზიარე,
კმარა რაც დღემდი ვიტანჯე სულით
კმარა ზამთარში რაც ცრემლი ვღვარე.

2.

სამშობლოს ზამთარი.

კვლავ შემოდგომის ცივი ცრემლები
მკერდზე დაემსხვრა მშობლიურ მხარეს...
კვლავ ისმის კვნესა და გლოვის ხმები:
მშობელი ერი ცრემლს აფრქვევს ცხარეს,
კვლავ შავი ძაძა, შავი სუდარა
გადაეფარა მის არსებობას,
მტერმა საფლავი კვლავ გაუთხარა
თავისუფლებას, სიყვარულს, ძმობას...
...აღარც იმედი და სასოება,
არც გულის შვება ბრწყინვალე დილით...
არც თავ-განწირვა და აღტყინება
მამულიშვილურ გმირულ სიკვდილით...
ზამთარი არის, ზამთარი არის,—
ზამთარი ცივი და სუსხიანი,
და ისმის დრტვინვა გათოშილ ბარის
მწარედ გმინავენ სამშობლოს მთანი.
და ვსტირი, ვსტირი წარსულ გაზაფხულს
გულდათუთქული, ცრემლ-მორეული,
აწ ვითლა შევხვდე ბრწყინვალე ზაფხულს?.
როდის დავხიო ტანჯვის რვეული?..

ი. ვადაჭკორია.

ქართული პრესა

ჩვენი გაზეთის გუშინწინდელ ნუმერში დაბეჭდილი იყო ს. ფირცხალავას წერილი მაჰმადიან ქართველების შესახებ. ავტორი აღნიშნავდა სხვა და სხვა მიზეზებს, თუ რამ შეუშალა ხელი საქართველოს ორი ნაწილის გაერთიანებას. დროზე და სათანადოთ არ მივაქციეთ ყურადღება მაჰმადიან მოძმეებს, არ ვაწარმოეთ წმინდა დემოკრატიული პოლიტიკა, ვერ ჩამოვაშორეთ ხალხს ბეგები და არ დავადექით გარკვეულ ეროვნულ გზას.

გაზეთ „ერთობა." რომელიღაც უვიცს მეპრესეს ამოუგლეჯია ამ წერილიდან ზოგიერთი ადგილი და თავის მკითხველებს არწმუნებს, ვითომც ავტორის აზრით მთელი უბედურება იქიდან წარმოსდგა რომ დროზე რუსეთს არ ჩამოვშორდითო.

ეს რასაკვირველია, ს. ფირცხალავას წერილის სრული დამახინჯებაა. „ერთობის" მეპრესეს ან არ შეუძლია დაწერილის წაკითხვა ან განზრახ ამახინჯებს აზრებს, რომ იაფი დემაგოგია გასწიოს „რუსეთის და კავკასიის დემოკრატიის ფრონტის" მთლიანობის შესახებ. მაგრამ ავიწყდება ვაჟბატონს, რომ ერთი ეროვნული გზა თავისთავად აუცილებლად არ მოასწავებდა რუსეთისგან გამოყოფას და მეორე ცარიელი სიტყვიერი რახარუხი დემოკრატიის მთლიანობაზე, როცა ეს მთლიანობა თვითონ რუსეთის დემოკრატიამ დაშალა და საქართველო ოსმალეთის ვეშაპს პირში ჩაუგდო, არავის არაფერს უუბნება და ამნაირის ლაპარაკით ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა ოდნავად არ შემსუბუქდება.

დრო არის, ბატონებო, ცრუ დემაგოგიის და მოწინააღმდეგეთა შეხედულობას, დამახინჯებას თავი გაანებოთ! დღევანდელი განსაცდელის დროს მეტი პატივისცემა გმართებთ სხვის აზრისადმი.

ომის დეპეშები

ტფილისი. 24 მაისი. „ანდონხანი".

სტამბოლი. 22 მაისი. სამხარი ცნობა. მთელ ფრონტზე იორდანისა და ზღვის სანაპიროს შუა მზვერავთა მოქმედება სწარმოებს. გუშინ პოზიციებს დავეცით და რამდენიმე კაცი დავატყვევეთ ხელში ჩავიგდეთ ერთი ტყვიისმფრქვეველი, გასული დღეღამის განმავლობაში ჰაერში ზვერვა იყო; საჰაერო ბრძოლაში დაიძულეთ მტრის 2 ჰაეროპლანი ძირს დაშვებულიყო.

პალესტინის ფრონტი. მდგომარეობა უცვლელია.

ბერლინი. 23 მაისი, სამხარი ცნობა. კემმელის რაიონში ძლიერი საარტილერიო ბრძოლა გრძელდება, მტერი სცდილობდა ჩვენ ზანაკთან მოახლოებას, მაგრამ ისინი უკუქცეულ იქმნენ არტილერიისა და ქვეითა ჯარის დახმარებით, ერთი კონტრ-იერიშის დროს ჩვენ გავაქციეთ მტერი მეორე ხაზამდე და დავატყვევეთ 2 ოფიცერი, 49 ჯარის-კაცი და 2 ტყვიისმფრქვეველი. ლა-ბასსის არხთან მდებარე ადგილს მტრის არტილერიამ სროლა აუტეხა. არტილერიის მოქმედება არრასსა და ალბერტს შუა დროგამოშვებით უაღრესად ძლიერდებოდა. სომმაზე მტერმა მცირეოდენი მზადების შემდეგ შეტევა დაიწყო.

სხვა ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

ვენა, 23 მაისი. სამხარი ცნობა. მტრის პატრულები სცდილობდნენ ჩვენს მოწინავე პოსტებში შეჭრას ლიუნიის ტბასთან; ჩვენ ისინი კონტრიერიშებით დავამარცხეთ. ჩვენი მოქმედება შორის სამხრეთ-აღმოსავლეთით ბრწყინვალეთ დამთავრდა: დავატყვევეთ რამდენიმე კაცი. ჩვენ გავამაგრეთ პოზიცია, რომელიც მტერს წავართვით. სხვა ფრონტებზე ადგილ-ადგილ საარტილერიო ბრძოლაა და ჰაერში ზვერვა.

პარიზი, 23 მაისი. ოფიციალური ცნობა. სასტიკი ბრძოლა იყო ლოკრთან, სადაც ჩვენი არტილერია მტრისას ეებრძოლა და მისი ზოგიერთი ბატარეა ჩააჩუმა. სომის მარჯვენა ნაპირას ჩვენ მტერს შევუტიეთ: 230 გერმანელი დავატყვევეთ. მტრის ყველა კონტრ-იერიში მოვიგერიეთ: მტერი დიდად დაზიანდა—მრავალია მის ზანაკში მოკლული და დაჭრილი. დატყვევებულმა გერმანელებმა გადმოგვცეს, რომ ჩვენი მძიმე არტილერია საოცრად ანგრევს ყველაფერს მტრის თხრილებში.

სხვა ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

ინგლისის რადიო-ხადგურები იუწყებიან, რომ გერმანიის საჰაერო პირატების თავდასხმა ლონდონის მიდამოებზე იმიტომ დამთავრდა მტრის სასარგებლოდ, რომ მთელი ის სივრცე, რომელიც მტრის ჰაეროპლანებმა გადალახეს, ხისლით იყო მოცული და შეუძლებელი იყო გერმანელ მფრინავების შეჩნევა ჰაერში. უკან დაბრუნებისას ინგლისის მფრინავებმა იერიში მიიტანეს მტრის ჰაეროპლანებზე: უკასნელნი წყალში ჩაცვივდნენ.

ვაშინგტონი, ცნობები მოვიდა იაპონიასა და ჩინეთს შორის შეთანხმება მოხდაო შეთანხმების ძალით, ისინი ვალდებული არიან ხელი შეუწყონ მშვიდობიანობის განმტკიცებას შორეულ აღმოსავლეთში.

ახალი ამბავი

◆ **ლტოლვილები.** დადგენილია მიღებულ იქმნას ზომები, რომ ლტოლვილები არ წავიდნენ იმ ადგილებს იქით, სადაც საკვები პუნქტებია და ჯარი ჰყარაულობს.

◆ **5000 ლტოლვილ ბერძენს** რომელნიც მე-80 ვერსზე იმყოფებიან ნება დართეს, გაემგზავრონ მცხეთაში.

◆ **ვეჰიბ ფაშა გუმბრში.** გენერალი ოდიშელიძე ბათომიდან ატყობინებს სამხედრო მინისტრს, რომ 22 მაისს დილით ოსმალოთა მთავარ-სარდალი ვეჰიბ-ფაშა ავტომობილით არტაანის გზით გუმბრში გაემგზავრა, სადაც 23 მაისს მივა საღამოთ. 24 მაისს გუმბრში უნდა მოვიდნენ გენ. ნაზარბეკოვი და ვიშინსკი ვეჰიბ-ფაშასთან მოსალაპარაკებლად, რათა შეიმუშაონ ჯარის გადმოყვანის პირობები, სადემარკაციო ხაზის დასადებად და სხვა. გენ. ნაზარბეკოვთან ბათომიდან გაიგზავნა გენ. ყორღანოვი.

◆ **კოოპერატივ „მეურნეს" ბონები.** ხურდა ფულის ნაკლებობის გამო კოოპერატივ „მეურნემ" გამოსცა ბონები თავის წევრთათვის ათ მანეთიანი, 5 მანეთიანი, სამ მანეთიანი, მანეთიანი და 50 კაპ.

◆ **ტფილისის უნივერსიტეტი.** პროფესორთა საბჭომ [illegible] იშვილს მისი [illegible] გამო ქართულ[illegible] და მისი 28 წლის ნაყოფიერი მოღვაწეობის პატივსაცემლად ქართული არქეოლოგიის დოქტორის ხარისხი მიანიჭა „ჰონორის კაუზა".

◆ იმავე სხდომაზე საბჭომ დაადგინა უნივერსიტეტში მეცადინეობა განაგრძონ 12 ივნისამდის (ახ. სტ.).

◆ **ოზურგეთის გარშემო.** შინაგან საქმეთა მინისტრმა წინადადება მისცა ოზურგეთის ქალაქის თავს დაუყოვნებლივ დაბრუნდეს ოზურგეთში, რომელიც ოსმალოებმა აიღეს და შეუდგეს თავისი მოვალეობის ასრულებას.

◆ **ლტოლვილთა დახმარება.** 300 ათასი ლტოლვილის უმწეო მდგომარეობის შესახებ, მთავრობამ მზრუნველობის მინისტრს მიანდო შეიმუშაოს გეგმა ლტოლვილთა სისტემატიური დახმარებისა და მოელაპარაკოს გენ. ნაზარბეკოვს რომ ლტოლვილები დააბრუნონ ოსმალოების მიერ დაპყრობილ ადგილებში.

◆ **გამნაწილებელ პუნქტის** მოსამსახურეების და მუშების გაფიცვის საკითხის შესახებ მთავრობამ დაადგინა: სთხოვოს შრომის მინისტრს ი. გ. ფირცხალაშვილს მოელაპარაკოს მოსამსახურეებს და მუშებს და ფინანსთა მინისტრს სთხოვონ ყველა მუშა და მოსამსახურე დააკმაყოფილოს.

◆ **ქურდობა.** ღამით, 23 მაისს ავჭალის ქუჩაზე სახ. № 77, მე-6 ქართ. საზღვრების მცველი პოლკის კანცელიარიიდან მოიპარეს ფულის ყუთი, სადაც 43 ათასი მანეთი იყო.

◆ **გაძარცვა.** ვორონცოვის ქ. № 56 მოვაჭრე მამედ ჯალალოვმა მილიციის უფროსს გამოუცხადა, რომ იმის მაღაზიიდან 200,000 მან. საქონელი გაიტანეს.

◆ **მთავრობამ დაადგინა** საქართვ. სამხედრო რკინის გზაზე არც ერთი ავტომობილი არ გაუშვას, გზათა სამინისტროს უნებართვოდ-

◆ **ტფილისის დამცველმა შტაბმა** შეიპყრო: სამხედრო მოხელე ს. შევლიაკოვი—სახაზინო საქონლის მოპარვისათვის, ჯარის-კაცები: ქიქოძე, ყოჩიაშვილი, როსტიაშვილი—სახაზინო საქონლის გაყიდვისათვის. ჯარის-კაცი სხ. მარჯანიშვილი—ცხენის მოპარვისათვის. როტმისტრი ტერ-სიმონიანცი სამხეთა ეროვნ. საბჭოში მყოფ პოროჟ. ტერ-გრიგორიანცის დაჭერისათვის.

◆ **ქუთაისისთვის** მთავრობამ ნება დართო გადაიდოს 3 წლის ვადით 500,000 მან. უპროცენტო სესხი.

◆ **კავკავის ქალაქის** თავის შუამდგომლობის თანახმად, სად. კობზე დატოვებულ ოთხი ავტომობილის საკითხის შესახებ, მთავრობამ დაადგინა კავკავის ქალაქის თავს მხოლოდ ორი ავტომობილი გადასცეს.

◆ **ჯამაგირების მომატება.** შესდგა საუწყებათაშორისო თათბირი, რომელშიაც მონაწილეობენ შინაგან საქმეთა მინისტრი, სახელმწიფო კონტროლიორი და ფინანსთა მინისტრი: თათბირს დავალებული აქვს შეიმუშაოს პროექტი ჯამაგირების მომატებისა (ეგრედ წოდებულ „სუტოჩნისა") ყველა უწყების მოსამსახურეთათვის.

◆ **სად. ლარსიდან** სომხეთა ეროვ. საბჭოს აცნობებენ: „23 მაისს მთელი დღე ინგუშები სად. ლარსიდან კავკავში ლტოლვილებს არ უშვებდნენ. სადაური ლტოლვილები იძულებულნი გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ. მრავალი ლტოლვილი სად. ყაზბეგში არის".

◆ **თერგის ხახალხო ხაბჭომ** დაადგინა სხვა და სხვა მოსაზრების გამო ლტოლვილები არ გაუშვას კავკავში, რის გამო ისინი სად. ლარსში შეაჩერეს. გაუშვებენ მხოლოდ იმათ, რომელნიც გზაში დარჩნენ.

◆ **გერმანიის მრეწველები და შრომის სამინისტრო.** 23 მაისს შრომის სამინისტროში მოვიდნენ: შავი ქვის საბჭოს წევრთა წევრი პაპავა, ჭიათურაში მომქმედ გილზენკირხის საზოგადოების წარმომადგენელი და პრუსიის ოფიცერი. აღნიშნულ პირებმა სთხოვეს შრომის მინისტრს დახმარება ფოთის ნავთსადგურში და ჭიათურაში მუშაობის მოწყობისა და მუშების და მათ უფროსების შორის კეთილი დამოკიდებულების დამყარებისათვის. ისინი თანახმა არიან კოლექტიური ხელშეკრულება დასდონ მუშებთან. ამისთვის საჭიროა ფოთიდან მუშების წარმომადგენლები მოიწვიონ, აგრეთვე მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს საოლქო ცენტრის წარმომადგენელი. როგორც გამოირკვა გილზენკირხის საზოგადოებისათვის ეს

საქმე იმდენად სერიოზულია, რომ ისინი მზად არიან მუშებს დიდი ჯამაგირი მისცენ მხოლოდ მუშაობა განაგრძონ.

სოფლად და ქალაქად

ზუგდიდი.

◆ მთავრობის ჯარი უკვე გავიდა მდ. ენგურზე და გალში მივიდა. წინააღმდეგობა არავის გაუწევია, თუმცა შეიარაღებული ჯარის-კაცები ყოფილიყვნენ.

◆ დაბა ანაკლიის მიდამოებში გამოჩენილან „ბოლშევიკები“ და აწიოკებენ ოჯახებს. ახლავე ზომებია საჭირო. იყო მაზრაში რამდენიმე შემთხვევა დაცემისა. რევოლიუციის მტრებმა დრო იშოვნეს და შეუდგნენ თავის სამარცხვინო საქმეებს. მაზრის კომისარი თოლორდავა ბევრ რამეებს გვპირდება. ვნახოთ რას გააკეთებს.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

კვირას, 26 მაისს, პარტიის კლუბში (ძველი სას. სემინარია) ტფილისის კომიტეტი ჰმართავს ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილის ლექციას შემდეგ თემაზე: „ამიერკავკასია თუ საქართველო?“ შინაარსი. რუსეთის რევოლიუციის სისუსტე და ნაჩქარევობა. რევოლიუციის ეტაპები. რუსეთი და ამიერკავკასია. ეროვნული საკითხი რუსეთში. ჩვენ გამოვეყავით თუ გამოგვყვეს? ამიერკავკასიის ერები. მათ ინტერესთა წინააღმდეგობა. ჩვენი ობიექტიური პირობები. ამიერკავკასია როგორც გეოგრაფიული თერმინი მხოლოდ. შესაძლებელია ამიერკავკასია როგორც ერთი სახელმწიფო? სახელმწიფოს რაობა და ფორმები: უნიტარიზმი, ფედერალიზმი. კონფედერაცია. სრული დამოუკიდებლობა. რომელ ფორმაზე შეიძლება საუბარი ამიერკავკასიაში? „ქართლის ბედი.“ „ლამაზი სიკვდილი“ თუ „ფიზიკური არსებობა?“ ჩვენი პარტიული იდეალი და პრაქტიკა.

შესასვლელი ფასი ერთი მანეთი. ბილეთები იყიდება პარტიულ კლუბში. შესვლა ყველას შეუძლიან. ლექციის დასაწყისი საღ. 7 საათზე.

—

ორშაბათს 27 მაისს დანიშნულია ტფ. კომიტეტის კრება. ადგილი—პარტიული კლუბი. დრო—6 საათზე.

—

ზუგდიდი. 18 მაისს მოხდა საერთო პარტიული კრება. მაზრაში მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ერასტო ჯინჯოლავამ და შესაფერი რეზოლიუციებიც მიიღო კრებამ. რაზმის მდგომარეობის შესახებ მოხსენება წარმოადგინა რაზმის ხელმძღვანელმა და ბოლოს მოხდა არჩევნები კომიტეტისა.

მთავრობის განცხადება

მთავრობა მიღებულ ცნობების თანახმად ბეჭდვითი სიტყვის ბიუროს ავალებს გამოაცხადოს მცხოვრებლების საყურადღებოდ, რომ ნაწილი გზისა სად. ყაზბეგიდან კავკავის, ინგუშების დაცემისაგან არ არის უზრუნველყოფილი სომეხ და ბერძენ ლტოლვილებისათვის.

სოხუმიდან 23 მაისს იქაური ქალაქის თვითმართველობისაგან მიღებულია შემდეგი დეპეშა: „სოხუმის თვითმართველობამ მოისმინა 21 მაისის სხდომაზე მთავრობისაგან გამოგზავნილი მისალმების დეპეშა, ბოლშევიკებიდან ქალაქის განთავისუფლების გამო, ქალაქის თვითმართველობა უცხადებს მთავრობას მადლობას, და ღრმად დარწმუნებულია რომ მთავრობის დახმარებით ქალაქის თვითმართველობა სხვა დემოკრატიულ დაწესებულებასთან ერთად შეიძლებს ქალაქში სრული წესრიგის დამყარებას.

უნდა ვიბრძოლოთ!

არასოდეს ასეთ მძიმე და კრიტიკულ პირობებში არ ყოფილა ამიერკავკასიის ბედ-იღბალი და კერძოთ საქართველოს ყოფნა-არ ყოფნის საკითხი, როგორც ეს აშკარად ცხადდება დღეს.

მსოფლიო ომის ქარიშხალმა და იმ სამარცხვინო ზავმა, რომელიც ბოლშევიკებმა შეჰკრეს ბრესტ-ლიტოვსკში—ჩვენი ქვეყანაც მიიყვანა უფსკრულამდე, დაღუპვის გზამდე. დღეს იმგვარი პოლიტიკური ატმოსფერა შეიქმნა ამიერკავკასიის გარშემო, ისეთი ვითარება გადაგვეშალა თვალწინ, რომ დღეს თუ არა ხვალ ჩვენი ქვეყანაც, ჩვენი დედა ქალაქი ტფილისი—ეს გული და სული საქართველოსი უნდა გახდეს უცხო პირების სათარეშოდ და ის აურიცხველი მსხვერპლი, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში შეეწირა ამიერკავკასიისა და კერძოთ საქართველოს თავისუფლების მოპოებას შეუმჩნევლად და უნაყოფოდ უნდა დარჩეს.

მსოფლიო იმპერიალიზმმა ბევრი პატარა ერი გაანადგურა და დაღუპა ამ ომის განმავლობაში, ერი, რომელიც ჩვენ ქვეყანასთან შედარებით გაცილებით უკეთესს პოლიტიკურსა და ეკონომიურ პირობებში იმყოფებოდა.

მსოფლიო ომის მიზანი ზოგიერთებს პატარა ერთა განთავისუფლებად ესახებოდა, ნამდვილად კი მათი დაღუპვითა და განადგურებით მთავრდება. გადარჩა მხოლოდ ის, ვინც პოლიტიკური წინდახედულობა და გამჭრიახობა გამოიჩინა, ვისაც შერჩა უნარი გარშემო პირობების ალღოს აღებისა, ვინც საკუთარ ძალას დაეყრდნო და ცოდნით გაიკვლია გზა და არა სენტიმენტალურ გრძნობას გადაჰყვა თან,—სიმხდალე და სულმოკლეობა გამოიჩინა.

ოსმალთა მადა-გაღვიძებულ იმპერიალისტებმა გადალახეს ყოველივე საზღვარი: ლამაზი სიტყვებითა და დიპლომატიური მუსაიფით შეიქციეს ჩვენი დელეგაციის წარმომადგენელნი ბათომში ნამდვილად-კი ლამაზ სიტყვასთან ერთად თოფ-ზარბაზნები ალაპარაკეს და დაიპყრეს მთელი სომხეთი და დღეს საქართველოსაც ემუქრებიან საზავო მოლაპარაკებასთან ერთად—ოსმალეთი ომს აწარმოებს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ და ჩვენ-კი გულ-ხელ დაკრეფილი ვზივართ და შევსცქერით ჩვენს უწყმო მდგომარეობას, უმოქმედობას ვიჩენთ მაშინ, როდესაც თავგამოდება და თავის დავიწყებაა საჭირო.

არა თუ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, უბრალო მოქალაქობრივი თავისუფლებაც კი ხელიდან გვეცლება. საჭიროა, სანამ დაგვრჩენია კიდევ შესაძლებლობა, საერთო მობილიზაციის გამოცხადება. ყველა მოქალაქე ვალდებულია—იარაღით ხელში დაიცვას ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, ჩვენი თავისუფლება.

ეს არის ერთად-ერთი გზა—და ჩვენც ამ გზას უნდა დავადგეთ, თუ გვინდა შევინარჩუნოთ სისხლითა და ტანჯვით მოპოებული თავისუფლება, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობა. შესაძლებელია დავმარცხდეთ, მაგრამ ასეთ ცხოვრებას დამარცხება სჯობია,—ამგვარ სიცოცხლეს სიკვდილი. „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა—სიკვდილი სახელოვანი“.

კოკი აბაშიძე.

საქართველო და ქართველი ერი

პატარა საქართველოს და ქართველ ერს არა ერთხელ და ორხელ დასდგომია შავი დღეები, არა ერთხელ წამდგარა იგი სიკვდილის პირის წინაშე, მისი ლამაზი და მობიბინე მიდამოები რამდენჯერ აუოხრებია და წაულეკავს შემოსეულ მტრის ლაშქარს, ცეცხლითა და მახვილით არა ერთს და სამს მტერს გაუვლია გულადი ერის სამშობლოს მიწა-წყალზე.

ეს ერთი მუჭა თავგანწირული ხალხი მთელ თავის სიცოცხლეს განუწყვეტლივ ბრძოლაში ატარებდა, უმკლავდებოდა უამრავ მტერს. მისი ცხოვრება განუწყვეტელი სერია ბრძოლა და ომიანობისა; მაგრამ არ დაცემულა ერი გულადი, ერთ წუთსაც არ მიდუნებულა მასში მამულიშვილური ერთობა და თავისუფლებისადმი ტრფიალი. ჭირში და უბედურებაში მას მაინც დაუცავს თვისი „მე“, მამული და თავმოყვარეობა მისი გმირ სახელს ერთხელაც არ მიკარებია სირცხვილის შავი ლაქა და არ შეუბღალავს თავისი ნამუსი.

და ეს წმინდა, გაუტეხელი სახელი და ნამუსი უანდერძა წარსულმა აწმყოს შემდეგი ბრძნული ქართული თქმულების ხელდართვით: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

მაგრამ... მრავალი წლის მონობის უღლის ქვეშ ყოფნამ საოცრად შესცვალა ქართველი ბუნება, სულიერად დასცა, დააკნინა ბრძოლაში გამობრძმედილ ერის შვილები, სამშობლო და მისი სიყვარული მხოლოდ ფიქცია შეიქნა, მამულის სიყვარული ნელნელა ქრებოდა, სამშობლოს სიყვარული სათაკილოდ იქცა, მამულსა და მამულიშვილობას მორცხვობდნენ.

ნიჰილიზმი ეროვნულ საკითხში თანდათანობით იკავებდა ადგილს ქართველ ერის გონებაში, სამშობლოს მცნება თავის ღირებულებას ჰკარგავდა მასაში. ერის ცხოვრებისათვის ამ გვარ მიმართულების მიმცემი მისი შვილები შეიქნენ და გარეგან უხეშ ძალას, შინაური ძალაც მიემატა ერის გადაგვარებისაკენ უფრო ჩქარა გასაქანებლად. ამრიგად ჩაისახა ემბრიონი, მომზადდა ნიადაგი იმ ტრაგიზმისა, რომელიც ბათომის მიდამოებში და თვით ბათომში დატრიალდა და რომელმაც წარუხოცელი შავი ლაქა მოსცხო ეხლანდელ ქართველობას.

დღეს მწარე სინამდვილე ყველას თვალს გვჭრის, გულს გვიღონებს და დარცხვენილი თავი საით მივაყუდოთ იმისი გზაც არ მოგვანახავს. კატასტროფა ქართველ ერის ცხოვრებაში აუცილებელი და გარდაუვალი იყო. ამის სიმპტომები ჩვენი ცხოვრების ბოლო ხანის წლეებში სჩანდა და იყო კიდეც მთელი ჩვენი კინკლაობა, პარტიულ ბრძოლის სამოსელში გახვეული, სამშობლოს გოლგოთაზე აყვანა, განა ერის ფსიქიკაში მომხდარ კატასტროფის ნიშნები ვერ იყო? ჩვენი ერი კარგა ხანია დიდი სირცხვილისათვის ემზადებოდა და აი მიაღწია კიდევაც! ტანჯულო ერო! ნუ თუ შენი მრავალ საუკუნეთა სახელოვანი ისტორია, შენი ცხოვრება, შენი ბუნებრივი ნიჭი და შეგნება მაღალკეთილშობილური განსაკუთრებული თვისებები, ნუ თუ იმისათვის იყო მხოლოდ ყველა ეს, რომ ბათომის ტრაგედიას და 1918 წელს დაესამარებია ყველაფერი რომ შენთვის გმირისათვის შენს შვილებს სახელი გაეტეხათ, არა?..

მაგრამ წარმოუდგენელია, დღევანდელი ქართველობა კვლავ არ გამოფხიზლდეს, არ განიკურნოს და დღეს დაავადებულის მშობლის გული კვლავ ქართველური ყიჟინით არ გამოაცოცხლოს ეს მოხდებოდა, ეს აუცილებელია.

ლეო ლოლუა.

გუმბრის გარშემო

სანაინიდან გუშინ 23 მაისს ჩამოვიდა ბეჭდვითი სიტყვის ბიუროს ერთი წევრი, რომელიც 19 მაისამდე გუმბრში იმყოფებოდა, შემდეგ კი 22 მაისამდე სად. სანაინზე იყო. მისი სიტყვით გუმბრში ოსმალოებს წესიერება არ დაურღვევიათ. ქალაქის მილიცია დასტოვეს, მას დასახმარებლად 200 კაციდან შემდგარი სადარაჯო რაზმი მიუჩინეს. მცხოვრებნი არავითარ შევიწროებას არ განიცდიან. გუმბრში და იქიდან უკან თავისუფლად შედიან და გამოდიან მცხოვრებნი, მხოლოდ ყველას ვინც ქალაქში შედის იარაღს ჰყრიან. ქალაქის თვითმართველობაში და მის შემადგენლობაში არავითარი ცვლილება არ შეუტანიათ და ის განაგრძობს მოქმედებას. ლტოლვილნი ისევ გუმბრში ბრუნდებიან, ამ დღეებში მატარებელი ლტოლვილებით სანაინიდან უკან გუმბრში დაბრუნდა. დაბრუნებულ ლტოლვილებს ოსმალოები არავითარ წინააღმდეგობას არ უწევენ, მათ უფრო მტრულად თათრები ხვდებიან, თავს ესხმიან მატარებელს, მხოლოდ მოსამსახურეთა მატარებლებს თავისუფლად უშვებენ.

მიწათ-მოქმედების მინისტრისაგან

(ცირკულიარული განკარგულება საგუბერნიო სადგილ-მამულო გამგეობებს და მიწათ-მოქმედების სამინისტროს ემისარებს).

სამინისტროში მიღებულია ცნობები, რომ სადგილ-მამულო რეფორმა ბევრ ადგილას მეტად ნელათ მიდის. მიმღები კომისიები ამა თუ იმ მიზეზების გამო ხშირად სწყვეტენ მუშაობას. ზოგიერთ ადგილას ასეთი კომისიები ჯერაც არ არიან დაარსებულნი. წინადადებას გაძლევთ თქვენ დაუყონებლივ მოაწყოთ მიმღები კომისიები და მიიღოთ ყოველგვარი ზომები, რომ მათი მოქმედება არ იქნას შეწყვეტილი. ემისარებს არ შეუძლიათ მოშორდენ „კომანდიროვკის“ ადგილებს ჩემ ნებადაურთველათ. მიმღებს კომისიებს არ აქვთ უფლება მუშაობა შესწყვიტონ საგუბერნიო ან სამაზრო სადგილ-მამულო კომიტეტის დაუკითხავად.

განმარტების მისაღებათ შეიძლება მიმართოთ წერილობით ან დეპეშით აგრარული რეფორმის განყოფილებაში, რომელიც არსებობს მიწათ მოქმედების სამინისტროსთან.

უნდა გაძლიერებულ და დაჩქარებულ იქნას ჩაბარება ჩამორთმეული მამულების. მოვალეობათ ვუხდი საგუბერნიო სადგილ-მამულო კომიტეტებს წარმოადგინონ ყოველ კვირას მოკლე ანგარიშები მიმღები კომისიების მოქმედების შესახებ; ანგარიშში უნდა აღინიშნოს რაოდენობა ჩამორთმეული ადგილების და თუ სად რომელი დაბრკოლება შეხვდა და როგორ იყო დაძლეული ის.

თუ რომელიმე ადგილას ანარქიის ანუ სხვა რომელიმე დაბრკოლების გამო გვიანდება და ფერხდება რეფორმის გატარება ამის შესახებ დაუყონებლივ აცნობეთ სამინისტროს.

ის პირი, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს რეფორმის გატარებას, პასუხისგებაში უნდა იქნას მიცემული 7 მარტის კანონის მე-7 მუხლის ძალით.

მიწათ მოქმედების მინისტრი

ნ. ხომერიკი.

ბაქოსკენ

დღევანდელ ანარქიულ ხანაში, შემთხვევით მომიხდა ბაქოსაკენ გამგზავრება და მეტი არ იქმნება მკითხველს გაუზიარო ნახული და განაგონარი. ჯერ კიდევ ტფილისის სადგურიდან ჩვენთან ერთად ორი სომეხი მოჰყოლოდა შეცდომით ბაქოს მატარებელში. სად. ყარაიაზამდე თათრებს შეუმჩნეველი არ დაურჩათ გადმოეყვანათ და სამარცხვინოთ წესი აეგოთ მათთვის. გახარებულმა თათრებმა მკვლელს სიცილი დააყარეს: „რადა ტყვიებს აფუჭებდი. სატევრით ვერ აკუწეო“.

მთელი გზა-გადაცილებით ეძებდენ სომხებს, რომ ქართველების სახით არ გაჰპაროდათ. რამდენჯერმე მოახდინეს მატარებელში ჩხრეკა. პირველ ჩხრეკაზედ თათრის მილიციონერი დამტვრეული რუსულით შეგვეკითხა: „რამდენ ენაზედ ლაპარაკობთო“ მაგრამ, რადგან ასეთ გაუგებარ კითხვაზედ, პასუხი ვერ მიიღო, გულ მოსულად დაგვიყვირა: „რამდენი ნაცია ხართ, თქვით ჩქარაო“. ღამე სანთლით გვაჩერდებოდენ სახეში და საეჭვო პირებს ბაშპორთებს უსინჯავდენ. სხვათა შორის ჩემი თანამგზავრი ნაცვლიშვილი წაამგვანეს სომეხს და, მოკვლა დაუპირეს, ვინაობის მოწმობამ ვერ უშველა, „მაგისთანას სომხებიც კი შოულობენო“. ქართველი ჯარის კაცების შემწეობით ძლივს გადავარჩინეთ სიკვდილს. მატარებელში თუ სადგურებზედ მხოლოდ თათრებს ვხედავდით უმეტესად შეიარაღებულებს; მათ შორის აქა-იქ მარგალიტებსავით გამოერჩეოდენ ქართველი რკ. გზის მოსამსახურენი, რომლებიც, როგორც მათ გვიამბეს, უკვე თვალში ეჩხირებათ მაჰმადიანებს. ვერსად გზაში წამლად ერთ სომეხს ვერ იპოვით. განჯაში სომხები ჩაუკეტიათ ერთ უბანში და უწყლო უპუროთ უნდათ ამოხოცონ! გზა და გზა განსაკუთრებით გულ შემზარავ სურათს წარმოადგენს დანგრეულ გადამწვარი შენობები. ქალაქ და სოფლებს რომ თავი გავანებოთ, რომელიც უფრო ნაციონალურ შუღლის მსხვერპლი შექმნილა, რკინის გზის სადგურების და სადარაჯოების ზარალი ათ მილიონამდე იქმნება. თითქოს რუსის ეშელონებიდან გადმოუღიად ეს ჩვეულება, მთელ გზაზე, შეიარაღებული მაჰმადიანები, კურდღელზედ და ფრინველებზედ სროლაში ატარებენ დროს. გაჩერებულ მატარებლიდან გაუდის თოფების ქახა-ქუხი. ხშირად ტყვიებით ტელეგრამის მავთულებიც კი იწყვიტება. ადგილები საერთოდ ცოტაა დასახლებული და ისიც თოფ გადაკიდებულებს ძლივს დაუფუშავებიათ.

ბოლო სადგური, სანამდე მატარებელიც მიდის ქიურდამირია. აქ თითქოს პოზიციაა. იქით აჯიკაბულისაკენ წასვლა სასტიკად აკრძალულია, რადგან ყაჩაღთა ბრბოების ძალად თუ გადაურჩეს ადამიანი. თურმე თავისიანებსაც არ ინდობენ გამძვინვარებული თათრები! აჯიკაბულს დაბლა კი ბოლშევიკებია. ქიურდამირში ჩასულს, ვისაც ბაქოსკენ წასვლა სურს, მაშინვე იჭერენ და უკანვე აბრუნებენ. ჩვენ გვინდოდა მუღანის ველზედ, ცნობილ მილიონერ ქართველების ბაბაის ქარხანაში გავსულიყავით, რომ ქარხნის ბედი და იქ დარჩენილ ქართველების სიკვდილ-სიცოცხლის ამბავი გაგვეგო, მაგრამ არ გაგვიშვეს! ქიურდამირში ჩასვლისათანავე შეუმჩნეველი არ დაგრჩებათ ამათი აგრიევის დანგრეული სასმელების ქარხანა. ღვინის ტბები დგას ყველგან. აქა მკითხე პირები უზარმაზარ ბოჩკებს აქეთ იქით მიაგორებენ, მნახველ მეოჯახე ადამიანს ყოვლად შეუძლებელია სიბრალულით გული არ აევსოს. ზარალი მილიონებით განისაზღვრება. მთელი გზის მოსამსახურენი ღვინით გათოშილნი არიან. ჩასული მატარებელი თითო ორი დღე იგვიანებს, რადგან კონდუკტორების ლოთობას ბოლო არ უჩანს. არავითარ ბრძანებლობისა და პასუხის მგებლობის ქვეშ არ იმყოფებიან ისინი! აქ მყოფ ქართულ ნაწილსაც, ლოთობაში, ტყვიისმფრქვეველებით კინაღამ ერთმანეთი ამოეწყვიტათ, ამიტომ პოლკ. მაღალაშვილიც იძულებული გამხდარიყო უკან შორეულ სადგურზე დაებანაკებია. ჩემი იქ ყოფნის დროს ყველაზე უფრო მაინტერესებდა გამეგო მაჰმადიანების სულისკვეთება. საკმაო ინტელიგენტურ პირებსაც გავეცანი, რომელთაც ნათლად დამარწმუნეს: „ყველა მცხოვრებლებთა საერთო სურვილი და მისწრაფება დიდი ხანია ის არის, ოსმალეთს ვეკუთნოდეთო“. სხვათა შორის მაჩვენეს იმ ტექსტის პირიც, რომელიც დელეგაციის ხელით გაუგზავნია განჯის გუბერნიას და სხვა ზოგიერთ საზოგადოებებს. დაახლოებით ასეთია: „რადგან ჩვენ, მაჰმადიანობას, არ ძალგვიძს მოვსპოთ ანარქია და წინააღუდგეთ ბოლშევიკებს, ამიტომ ვსთხოვთ ოტომანის მთავრობას მიგვიღოს და გვიმსახუროს თვის ფრთეთა ქვეშო“. მე ვითომ მანუგეშეს: „თქვენ, ქართველებს რა გიჭირთ თქვენთვის ავტონომია თავიდანვე გადაწყვეტილი აქვს ოსმალეთსო“. დელეგაციის გაგზავნამ და ნატვრამ ფუჭად არ ჩაუარათ. 20 მაისს ევლახში ნაზიმ ფაშა, ორი ოფიცრის თანხლებით, თამამად ჩამოვიდა შუშიდან. ადგილობრივი მაჰმადიანობა დიდი ზეიმით შეხვდა. ჩვეულებისამებრ წინ ცხვრები დაუკლეს. ურას და გაუმარჯოს ძახილს დასასრული არ ჰქონდა. მოლამ ტირილით პურ-მარილი მიართვა, ნ—ფაშის შეკითხვაზე თუ რათა სტირის. მოლამ მიუგო: „სიხარული მატირებს, აქამდე ჩვენი პურ-მარილი მწარე იყო, რადგან სხვის ხელში ვიმყოფებოდით, აწი კი გაგვიტკბებაო“. ერთმა ისიც კი აღნიშნა: „აქაურ ერებთან, სომხების გარდა, ძმურათ ვცხოვრებდითო“. ნაზიმ ფაშამ ნუგეში მისცა მათ და შეჰპირდა ჩვენი ჯარები ელდაშში არიან და მალე შემოვლენ აქეთ ბაქოს ასაღებადო. ისიც დაურთო ამ დღეებში ბათომიდანაც მოგვივა ჯარებიო. დიდის ამბით გააცილეს ფაშა სადგურამდე, სადაც მას ელოდა გამზადებული საკუთარი მატარებელი. და სროლით და ურას ძახილით გაისტუმრეს განჯისაკენ. ჩვენი მატარებელიც უკან გამოჰყვა. საღამოს განჯის სადგური ყვავილებით და ნახევარ მთვარიან ბაირაღებით მორთულ სანახაობას წარმოადგენდა. აქაც ნაზიმ ფაშა დიდებულად მიიღეს და ქალაქში წაიყვანეს. ამბობდნენ მას განზრახვა აქვს ადგილობრივ მაჰმადიანებისაგან ჯარები შეადგინოსო.

იოლა.

ფიქრი საქართველოზე

საქართველოს მოღრუბლულ პოლიტიკურ ჰორიზონტზე ჯერ სანუგეშო ნიშნის ნაპერწკალიც არა სჩანს. ერი კვლავ გამოურკვეველ მდგომარეობაში იმყოფება აწმყო მას თავის შინაარსით ვერ ახარებს და არც მომავლის პერსპექტივებია სანუგეშო ხასიათის. არ ვიცით დანამდვილებით თუ რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე. გაასკეცებულ ჭირ ვარამს, გაგვიათასკეცებს თუ ცოტათი მაინც მოალბობს ჩვენს დაწყლულებულ გულს, დაიარებულ ცხოვრებას. მომავალი საიდუმლოების სქელ ბურუსშია გახვეული მხოლოდ და ვგრძნობთ, რომ ამ ტანჯვას ბედი არ გვაკმარებს და მას შესცვლის უფრო მძაფრი და უფრო მკაცრი უბედურება.

დღეს საქართველო პატარა იალქნები დაზიანებულ გემსა ჰგავს, რომელიც აბობოქრებულ და აზვირთებულ ზღვის მძიმე ტალღებზე უმწეოდ ირხევა და იზნიქება. რომელსაც ეხლოდ განგებისაგან სასწაულისებრ მოვლენის ხსნის იმედიღა დარჩენია რკალივით გარს შემორტყმული იმპერიალისტური სულისკვეთებით, ზრახვათა და მასწრაფებით გაჟღენთილ სახელმწიფოებით. საქართველო, თავის ამარა დარჩენილი, პირისპირ უდგას გადასაყლაპავათ მომზადებულს „იმპერიალიზმის“ ვეშაპს.

ცხადია ამიერკავკასია და [illegible] ჩვენი ქვეყანა „[illegible]“ იმპერიალისტურ სახელმწიფოთათვის ამ „გემრიელ [illegible]“ [illegible] ყური ინგლისს, გერმანიას, ოსმალეთს და ასე წარმოიდგინეთ „სოციალისტურ“ რუსეთსაც.

ყველას მათგანს ნერწყვი მოსდის ამ „გემრიელ ლუკმის“ ხსენებაზე და ჯოჯოხეთური სურვილი აღეძვრებათ ხოლმე ამ ყოვლმხრივ ხელსაყრელ მხარის ხელში ჩასაგდებად. ვერც ერთი მათგანი ვერ შეურიგდება იმ აზრს, რომ ეს ტერიტორია, მას არ ეკუთვნოდეს და სხვა რომელიმე მოქიშპის სახელმწიფოს ნაწილს შეადგენდეს; მაგრამ ისიც კარგად იციან, რომ ამ მხარეს ისინი ერთმანეთს არას გზით არ დაუთმობენ.

აშკარაა, რომ ამიერკავკასია მარადის მათ შორის კონფლიქტის და ბრძოლის გამომწვევი იქნება. თუ ეს რომელიმე მათგანის ხელში გადავიდა. და სწორედ იმ იმპერიალისტურ სურვილების და ინტერესების შეხლა-შემოხლამ ჩვენი ქვეყნისათვის ადვილად შესაძლებელია სულ სხვაგვარი პირობები შეიქმნეს, სხვაგვარი კომბინაცია გაკეთდეს და აქ ბედმა საქართველოსაც გულიანად გაუღიმოს, ეს ჰიპოტეზაა, მაგრამ ამის სასარგებლოდ სწორედ დღეს მეომარ სახელმწიფოების ინტერესების შინაარსი მეტყველობს. ბევრი ილესავს დღეს ჩვენთვის კლანჭებს და კბილებს. არ ერიდებიან ლამაზ სიტყვებს, მეგობრის ქურქშიდაც ეხვევიან, მაგრამ ყველა ამაში იმპერიალისტური კლანჭები მაინც მოსჩანს. ის კლანჭები, რომლებსაც „მეგობრები“ მოხერხებულ დროს მოხდენილად ჩაგვცრავენ გულში.

ყველამ წამოგვიპოტინა ხელი, ვხედავთ ირგვლივ მტაცებლურად გამოშვერილ ჰვანგებს. საქართველო მარტოხელაა. საშინელების წინაშე ვდგევართ სუსტად მომზადებულნი.

ჩვენმა ერმა უნდა გამოიჩინოს პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობა და გამჭრიახობა, ალღო აუღოს დღევანდელ მომენტს, მდგომარეობას და შესაფერი ნაბიჯი გადასდგას.

ახლაა საჭირო ეროვნული ნაბიჯის და ენერგიის ინტენსიურად ამოძრავება, ამუშავება. ერის გულისყური დღეს ეროვნულ საბჭოსკენაა მიმართული, მან უნდა იხსნას დღეს საქართველო და ქართველი ერი, რაც არ უნდა დაჯდეს იგი. ეროვნული საბჭოა დღეს ერის ნამდვილი ჭირისუფალი და წინამძღოლი

ლეო ლოლუა.

სამხედრო ტყვეების მდგომარეობა ბათომში

რაც დრო გადის, მით უფრო აუტანელი ხდება ჩვენი მდგომარეობა ბათომში. სანამდის დარჩენილი ფული მოგვეძებნებოდა, გაგვქონდა თავი როგორც იყო, ეხლა კი ნამდვილ სიმშილს განვიცდით. წასულ დღესასწაულებზე ბევრი ჩვენგანი სრულიად მშივრები იყვნენ. დახმარება არ საიდან არ გვაქვს და თუ არის ძალიან ცოტა.

ერთი სიტყვით ღვთის ანაბარად ვართ მიტოვებული ოსმალეთის მთავრობა ვერას გვეხმარება, ვინაიდან მას თავის ჯარისთვისაც არაფერი მოეპოვება და კიდეც რომ მოეპოვებოდეს, აბა რას დაგვეხმარება ის მთავრობა, რომელიც სამხედრო ტყვეების მიგზავნილ კაცებს, რომლებიც მდგომარეობის შემსუბუქებას სთხოვდნენ, მათრახებით გაუმასპინძლდა და კინაღამ ცემით არ მოჰკლა? მთელს იმედებს ჩვენს მთავრობაზე ვამყარებდით. დელეგაციის ჩამოსვლას ველოდით. მაგრამ ეს უკანასკნელი იმედიც არ გაგვიმართლდა: როგორც დელეგატებმა გადმოგვცეს, მათ მხოლოდ ხუთი ათასი მანეთი ჩამოუტანიათ სამხედრო ტყვებისათვის და ოცი ათასს კიდევ ველით. მაგრამ ეს ხომ წვეთია ზღვაში. რას იქმარებს ასეთი ცოტა თანხა სამი ათას ხუთასი კაცისათვის.

სიმშილმა, ყაზარმაში სადაც ჩვენი ჯარის კაცები არიან დამწყვდეული, უკვე თავისი ნაყოფი გამოიღო: თანდათან სხვა და სხვა სენი ვრცელდება ყველაზე მეტად: სახადი და ყვავილი [illegible] რა ხა[illegible] და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრდელობა შეუძლია ამ ავადმყოფობას იქ, სადაც ორ სადგომში ორი ათასზე მეტი კაცია მოთავსებული.

საკვირველია რატომ ამ გარემოებას არ აქცევს ყურადღებას ჩვენი დელეგაცია და არ აჩქარებს საზავო მოლაპარაკებას. იგერ სამი დღე გადის რაც ჩვენი და ოსმალების დელეგაცია ჩამოვიდა და ერთი სხდომაც არ ჰქონიათ.

აგრეთვე ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან აფიცრები და ის ჯარის კაცები, რომლებსაც ნები აქვს დარჩეული ქალაქში ცხოვრების. ბევრი მათგანი იძულებული შეიქნა სამუშაო ეძებნა მაგრამ ვერაფერს შოულობენ. მხოლოდ მცირედმა ნაწილმა იშოვნა საქმე: ზოგი ლაქიებად და მებაღებად დადგნენ, ზოგმა ცირკში შეაფარა თავი, ზოგმა სად და ზოგმა სად. ერთი სიტყვით, ჩვენ ტყვე აფიცრებს ბევრგან შეხვდებით ისეთ ადგილას მომუშავეს, სადაც არ უნდა იყვნენ. მაგრამ რას იზამდ? გაჭირვება ყველაფერს მიგაჩვევს, ყველაფერს შეგარიგებს. თუ ასეთი მდგომარეობა კიდევ ორი სამი კვირა გაგრძელდა ბევრი ჩვენგანი ცოცხალი და ან ჯან-მთელი ვერ დაბრუნდება.

ჩვენ ის გვალონებს, რომ სამშობლომ ჩვენმა ხალხმა, როდესაც ასე ახლოს ვიმყოფებით, მოგვიძულა ისინი, ვინც უკანასკნელ წუთამდე დარჩა აქ, რომ ბათომი არ დაეთმო მტრისათვის და შემდეგ საშუალება მაინც მიეცა მშვიდობიან მცხოვრებლებისათვის ქალაქიდგან გასულიყვნენ. ისინი კი ვინც სამარცხვინოთ გამორბოდნენ, გამოქცევა მოასწრეს და „ნადავლით" დატვირთულნი სახლში დაბრუნდნენ, დღეს მანდ არიან და მათ პასუხსაც არავინ არ სთხოვს.

შემდეგ ერთი რამ არის აღსანიშნავი როდესაც ჩვენ დელეგატებს მიმართავენ რაიმე თხოვნით ჩვენივე ტყვეები, ისინი რაღაც გულცივობას იჩენენ და პასუხად ეუბნებიან: მაგეთი წვრილმანი საქმებისათვის არ გვცალიანო! საკვირველია ღმერთმანი! მათვის ჩვენი თხოვნა წვრილმანია, ჩვენ კი სიმშილით ვიხოცებით.

სამთო-ცხენოსანთა ბატარეის ჯარისკაცი შალვა ჩუბინიძე.

ბათომი 26 (8) აპრილი.

მოწერილი ამბები.

ს. მეჯვრისხევი. 12 მაისს ქართულ პარტიზანულ რაზმის სასარგებლოდ ნინო კასრაძის, ნინო ეჯოშვილის, ვანო სალუქვაძის და აბრამ [illegible]შვილის თაოსნობით ყულაბით შეკრებილ იქმნა 128 მან. 3 კ. სოფ. მეჯვრისხევში. ამ დღეს [illegible] ხელი შეუშალა ფულის შეკრებას, ხალხი თანაგრძნობით შეხვდა და წვიმას რომ ხელი არ შეეშალა, შეგროვდებოდა არა ნაკლებ 600—800 მან. შეგროვილი 128 მან. 3 კ. გადაეცა გორის სოც. ფედ. ბიუროს დანიშნულებისამებრ მოსახმარებლად.

მოქალაქე ვ. ბათიაშვილი

—

ქართლი. დღევანდელ უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდნილ გლეხებს აძარებს ბლომად დახნულ-დათესილი მიწები და ნიშნები კარგის მოსავლისა. თითქმის ქართლის ველ-მინდვრები სულ გადახნეს, საანეულოდ აღარც კი დარჩა მიწები მოსახნავად. ხილს ძალიან ასხია, თუ ამინდმა არ გააფუჭა.

აქ მიწის ჩამომრთმეველი კომისია შეუდგა ამიერკავკასიის დეკრეტის განხორციელებას. დღეს ფაქტიურად მიწები უკვე ჩამორთმეულია გლეხების მიერ და დანაწილებული ურთიერთ შორის. ასე რომ დღეს მემამულის ხელში არც ერთი მტკაველი მიწა აღარ არის. დღეს მიწის ჩამომრთმეველ კომისიას და კომიტეტებს მოუხდებათ ჩამორთმევა არა მემამულეებისაგან, არამედ ძლიერებისაგან, რომ ნორმით დააკმაყოფილოს მემამულენი და დანარჩენი მიწები გადასცენ მიწის მომრიგებელ კომიტეტებს.

სოფელი დღეს ღვთის ანაბარაა მიტოვებული, არავითარი მთავრობის მართვა-გამგეობა არ არსებობს სოფლად. ოდესღაც სოფლის მიერ არჩეულნი, „სოფლის პატრონნი" უძლურნი აღმოჩნდნენ თავიანთ მოქმედებაში. ზოგი უპასუხისმგებლო არამკითხეები ჩაუდგნენ სოფლის სამართავ გამგეობას სათავეში. ამაზედ ნათქვამი, უპატრონო [illegible] ეშმაკები დაეპატრონებიანო. დროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ვისაც ჯერ არს, თორემ შორს არ არის ის დრო, როდესაც სოფელი ანარქიის ქარცეცხლში გაეხვევა.

ვ. ბათიაშვილი

ყარაიაზის ველი

(დასასრული *)

სოფ. შიხლოს ხშირად გაიგონებთ, როგორც ყარაიაზის ველის თათრებში, აგრეთვე სართიჭალის რაიონის ქართველებში.

შიხლოს [illegible] კრებულმა თავზარი დასცის [illegible].

სოფ. შიხლი მდებარეობს ყაზახის მაზრაში ტფილისის მაზრის საზღვარზედ, მდ. მტკვრის ახლოს სძევს. შიხლოს თათრები იმ თავითვე და ეხლა უფრო გადამეტათ მთავრობას არ ემორჩილებიან. მათი კანონი ვინტოვკაა და ვინტოვკით ელაპარაკებიან, სხვა ენაზე მათ ლაპარაკი არ იციან.

მათი ყაჩაღური ინსტინქტები ვერავინ ვერ ალაგმა და ეხლა ისეთი თარეში მიაქვთ სოფლებზედ, რომ ყველას თავზარსა სცემენ.

შიხლოს მცხოვრებლები რამდენიმე რაზმად არის დაყოფილი და ყველა რაზმს თავისი ბელადი ჰყავს. თითო რაზმში 60—80—100 კაცი ცხენოსანია. სახელი გაითქვეს სადიხლის და ემინის რაზმებმა თავიანთის შეუპოვარის მტაცებლობით.

უნდა ჩამოვთვალოთ მათი ყაჩაღური მოქმედებანი, რათა მთავრობამ ყურადღება მიაქციოს და ბოლო მოუღოს მათ თარეშს.

29 დეკემბერს 1917 წ. შიხლოელები დაეცნენ სოფ. ვოიეკოვოს და გაიტაცეს მათი საქონელი, შემდეგ სოფ. მიხაილოვკას ქარავანს, როდესაც თავის ბარგი-ბარხანით აიყარნენ და გაუდგნენ რუსეთისკენ, დაეცნენ, დიდი ზარალი მიაყენეს.

შემდეგ ამისა სოფ. მალხაზოვკას (აზამბურგს) და ნოვოპავლოვკას დაეცნენ, დაიტაცეს 460 სხვილი საქონელი, [illegible] 500,000 მანეთად. შეჯახების დროს შიხლოელებმა აზამბურგელებს მოუკლეს ერთი კაცი და ერთიც დაუჭრეს.

ამ [illegible] შემდეგ რუსები თავზარდაცემულნი იყრებიან სოფლებიდან და საჩქაროდ მიდის ქარავანი ქარავანზედ რუსეთისაკენ.

სისტემატიურად იწყებენ სართიჭალის რაიონიდან საქონლის დატაცებას. საგარეჯოდან გაირეკეს 42 სული ძროხა ერთხელ და მეორედ 80 სული ძროხა და ხარი.

გზად მიმავალ 17 ცხენი—ბარგით ფშაველებს წაართვეს; 60 სული ცხვარი სართიჭალელებისა გაიტაცეს და 7 ცხენი პატარძეულელებისაც თან მიაყოლეს.

წმ. გარეჯის უდაბნოს ბერებისა გაძარცვეს და წაბილწეს.

შ. ხილოელებისაგან მიყენებული ზარალი საგარეჯოელებმა აინაზღაურეს იმით, რომ სოფ. ქასალის მოსტაცეს 1,500 სული ცხვარი.

შიხლოელები ქართველებისა და რუსების ზარალით არ კმაყოფილდებიან და თავიანთ მეზობლებს ნაზარლის, ქასალის, კარათაფას, ქენდარს, ყაფანახჩის ეცემიან და, რასაც ასწრობენ, თან მიერეკებიან.

ნაზარლოელების შეძლებული კაცები დაიჭირეს და თავის დასახსნელი წაართვეს 20,000 მან.

16 აპრილს, 1918 წ. სოფ. ქენდარიდან გაიტაცეს 140 სული ცხვარი მაშადი ნოვრუზ ოღლისა და დაშტამირ აბდულა ოღლის 100 სული ცხვარი; პირველმა შეისყიდა 2,600 მანეთად და 22 ცხვარიც ზედმეტად მიართვა, მეორემ შეისყიდა 1,000 მან და 20 სული ცხვარიც მიართვა.

2 მაისს, 1918 წ. შიხლოელები დაეცნენ ნაზარლის მცხოვრებელს სამადა კიასან ოღლის და გაიტაცეს 38 ძროხა და ხარი.

3 მაისს გაიტაცეს 4 კამეჩი ნაზარლოდან. 4 მაისს დაეცნენ სამი ურმით დატვირთულ ბარგს, რომელიც მიდიოდნენ მთაში, ხარებიანად გაიტაცეს, ამასთანავე 95 ცხვარი ისმაილ ბაირამ ოღლისა.

11 მაისს სამი ურემი ხარ-კამეჩით [illegible] ბაირამ მურადა [illegible] ზეინალ ოღლისა და ისმაილისა—140 სული ცხვარი.

შიხლოელებმა სოფ. ვოიეკოვოს დარჩენილი ნათესი მიწები და ნაზარლოს ნათესი მიწებიც 500 დეს. მოათიბეს.

ამ ამბების შემდეგ ყველას პირზედ შიხლოელები აკერია, ამასთანავე ითხოვენ შველას, მოითხოვენ ძლიერ მთავრობას, იგონებენ ძველ დროს და გაიძახიან: „იახში ნიკოლოზ!"

—

რუსის სოფლებიდან ქარავანი-ქარავანზედ მიდის რუსეთისაკენ, ცარიელდება მათი სოფლები, მიატოვეს ორ სართულიანი თუნუქ გადახურული სახლები, მიატოვეს სკოლები, კოოპერატივები და ეკლესიები.

რუსები ამ ოცი წლის წინად, თუ რომ მოვიდნენ თავიანთის ტყაპუჭით, სამაგიეროდ ორი და სამი ფურგონით ბარგი-ბარხანით და შეგროვილი თანხით ბრუნდებიან ისევ ძველ სამშობლოს, თავიანთ რუსეთს.

ახალმა სამშობლომ ვერ შეითვისა ესენი, რადგან მათი მადა ბატონობისა ადგილობრივ მცხოვრებლებზედ განუსაზღვრელი იყო.

ეთხოვებიან მეზობლებ თათრებს, თათრები კი გზას ულოცავენ.

პირველად სოფ. ვოიეკოვოს შენობები გაანადგურეს, სოფ. ტიტიანოვკას შენობები არ დაანგრიეს, ქანდრელები მზა-მზარეულ სახლებში შევიდნენ და მოეწყვნენ, როგორც საკუთარ ბინაზედ.

სოფ. მიხაილოვკას ზოგიერთ შენობების განადგურება მოჰყვა, ზოგში კი ქასალის თათრები ჩასახლდნენ.

სობორო გაუქმდა, გაანადგურეს, წაბილწეს და დღეს შიგ ეკლესიაში საქონელი შუადღისას ჩრდილში იცოხნის.

დაამტვრიეს და გაანადგურეს ორთქლმავალის წისქვილი კარათაფაში, მზესუმზირის ზეთის სახდელი ქარხანა, ბამბის სარჩევი ქარხანა, სამჭედლო, მათი მოტორები, ძვირფასი მანქანები უვარგისად გახადეს, რაც წასაღები იყო წაიღეს, რაც არა და, თუ შეიძლეს, დალეწეს.

დამავიწყდა ქართულის ზარალი აქაურმა განადგურებამ, ანარქიამ დიდი [illegible] რუსის სოფლებს, [illegible] საცდელ მინდორს და ბოტანიკურ განყოფილების ბაღს.

აგრეთვე [illegible] სასახლე ყარაიაზის სანადირო ტყეში მიწასთან გაასწორეს და მისი ძვირფასი მოწყობილება გაიტაცეს.

მილიონობითაა ზარალი, მეტადრე საცდელ მინდორს მოუვიდა ზარალი არა ნაკლებ 200,000 მანეთის, აგრეთვე ბამბის სარჩევი ქარხანა და [illegible] ზარალს აჭარბებს. 275 კომლის შენობებისა და მათი მოწყობილობის ზარალს ხომ ვინ მოსთვლის.

—

ანარქია ძლიერდება, ყარაიაზის ველში 12 წლის ბიჭიდან სამოცი წლის მოხუცამდის ყველას ვინტოვკა უჭირავს, დღე და ღამე [illegible] განუშორებელი აქვს.

[illegible] თუ არა, გარდა [illegible] საქმისათვის თუ გაიხედავს გარედ და [illegible] სასროლად—სოფლის იქითაც არავინ მიდის, თუ არ დიდი საქმისათვის.

ცხოვრება კარათაფაში შეჩერდა, [illegible] მილიციონერები თუ [illegible] მათ დღეურ [illegible]. ამ ანარქიის გამო 20 კომლი [illegible] გაექცა კარათაფას, მათ ორსართულიან სახლებს, კარმიდამოს და [illegible] მიწებს თათრები დაეპატრონენ.

სოფლად საქონლის გაშვება და მოსავლის მოძოვება ჩვეულებრივადაა გადაქცეული და აქ ხომ გადაჭარბებულია; რუსებისაგან დატოვებული ნათესები მოაძოვეს, ვერ მოირიგდნენ რომ გაეყოთ ერთმანეთში. მათ 1000 დესეტინაზედ მეტი ნათესი დარჩათ.

ბოტანიკურ ბაღის განყოფილებაც უნუგეშო მდგომარეობაშია, გაშვებული ცხენები და საქონელი ანადგურებენ სანერგეებს, ნამყენებს ამტვრევენ, მუშას ვერა შოულობენ და ილუპება ამოდენა ამაგი. ამ ბაღს შერჩენ მხოლოდ [illegible] და [illegible] მებაღე, მაგრამ ესენიც შიშს [illegible] და ყოველ ჟამს ელიან [illegible] დღეს, ყოველივე ხალისი [illegible] წარკვეთილი აქვთ.

— სულ ერთია, ვიღუპავებით, მაინც მოვლენ და ნამუშევარს მოგვტაცებენ, წაგვართმევენ, იყო ასეთი პასუხი მებაღისა.

იგივე მდგომარეობაშია საცდელ მინდორის შენობები და სამეურნეო მოწყობილობანი, იარაღები და [illegible] მანქანები უპატრონობისა გამო, მინდორში ხომ [illegible] შეუძლებელია ყაჩაღების თარეშის გამო, ბაღები, ვენახები დაუმუშავებელი რჩება.

ამის გამგემაც დაიჩივლა და კომისარს ემდუროდა, არავითარ ღონისძიებას იღებსო, თითქოს კომისარს ისეთი ძალა ჰქონდეს, რომ მას მარტო შეეძლოს ამ ანარქიის შეჩერება.

წყლის არხის კანტორა დაუქმებულა, მერუეები, ჯუვარები აღარ ყარაულობენ სარწყავ რუებს; საქონლისგან ნაპირები დანგრეულია, რუები სილით და ტალახით ავსებული და ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება, ეს 12,000 დესეტინა სარწყავი ველი უწყლოთ დარჩეს.

მხოლოდ ყარაიაზის რაიონის კომისარიატში პატარა სიცოცხლე ტრიალებს, ორმოცდაათი მილიციონერი დარაჯად უდგია ამ რაიონს და ანარქიის გაძლიერებას აკავებს. კომისარები აბასეულ ნიჟარაძე და მისი თანაშემწე ენერგიულად მოქმედებენ, კიდევ პატარა ამათ მოიყვანეს წესრიგში და მათი რიდი აქვთ მცხოვრებლებს.

კომისარიატის შენახვა მთავრობას უჯდება თვეში არა ნაკლებ 12,000 მანეთისა.

დუშიკო ფალავანდიშვილი.

---

*) იხ. „სახ. საქმე" № 239.

გამოცემული
[illegible] წინადადება
[illegible] მთავარ კომიტეტისა

ვისაც
სუსუნატი (ვინორიგე) სტანჯავს, დაეჩქაროს მიმართოს მარლი ე. მ. აკოფოვს. საუკეთესო საშუალებაა. რაც მალე იქნება, მით უკეთესი. მიიღებს მასთან 3-დან 7-მდე. ტფილისი კრასნოგორსკის ქუჩა № 3. ე. მ. აკოფოვი. 511

ექიმი
ი. ლ. [illegible]
იღებს [illegible] ავადმყოფებს, საღამოს 6—7 ს. მისამართი [illegible] ქ. № 7. 1027

ექიმი
დონხინი
პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასისტენტი იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს. დილის 7—12½ ს. საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76 (საიკენის კბილის საექიმო). ტელეფონი 7—38. 518

ექიმი
დ. მარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პაჟეტოვის ქუჩა, № 7. 2150

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. გუნიას ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
[illegible]
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1008

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფთ საღამოს 5—6 ს. [illegible] კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, [illegible] სახლი [illegible]. 1030

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
[illegible] იღებს 4—6 ს. [illegible] № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
ნ. ა. ფოფხაძე
შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამ. გრაფის ქუჩა № 8. სახლი მონასელიძისა. 459

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
ი. ი. ზერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 450

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მახკოვის ქ. № 11. 426

ქ. ქაშკაშში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანსკი ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ბინა. 1092

ექიმი
გ. ტყემელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
შ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხა[illegible] [illegible] კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის" პირდაპირ. 1029

ექიმი
ვ. მუს[illegible]
იღებს ავა[illegible]
[illegible]ის ქ. № 8.

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის
და ლ. ვ. ნაზარეტიანის
საავადმყოფოში იარსებებს. კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 6—7 ს. მედათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1158

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
გ. ი. მამნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტეხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
მ. ვ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საბებიო ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქირურგიული ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

იყიდება ბუფეტი, მაგიდა და ექვსი სკამი (მუხის), ექვსიც ვენის „ტონეტის" ფაბრიკის, სარკე, ხალიჩები, პიანინო (ბერლინის „იბახის" ფაბრიკის), სამოვარი, ექვსადგილიან ეტლის რესორები, მისი ღერძი, წინა ნაწილი, ოთხი ბორბალი და ეტლის სხვა ნაწილები. სმოკინგი ხავერდის სარჩულით (მაღალი ტან.) და სხვა ნივთები.
მისამართი: საპიორის ქუჩა, № 45 ბინა № 2. იკითხეთ ტრუპინინი. 589

„სახალხო საქმე"-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია" მხოლოდ მეორე ტომ.	3 მ.	
ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია" წ. I	4 „	
გრდემლი წ. I	3 „	
ქართველი მწერლები.	2 „	
უცხოეთის „	2 „	
შიუკაშვილი—„მეგობრობა".	—	60 კ.
ჯანაშვილი—„თამარ მეფე".	1 „	20 „
ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო"	—	40 „
ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი"	—	50 „

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე".

სტამბა
„სახალხო საქმე"
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96.

სტამბა „სახალხო საქმე", ბარონის ქუჩა № 14